21 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კორპუსში

გაიმართება ფსიქოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტთა სამეცნიერო კლუბის მესამე სამუშაო შეხვედრა,

რომელზეც წარდგენილ იქნება შემდეგი მოხსენებები:

1. **მზრუნველობის გამომხატველი ემოციებიდან გამოწვეული პროსოციალური ქცევის ტენდენციები**

მომხსენებელი თამარ მუჯირიშვილი - ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბაკალავრიატის VIII სემესტრი, საკონტაქტო ინფორმაცია: mujiry@gmail.com

მიუახლოვდები მაგიდაზე დადებულ შოკოლადის ნამცხვარს?

ზოგადად ადამიანებს აქვთ ტენდენცია მიუახლოვდნენ მათთვის სასურველ ობიექტს და დაშორდნენ არასასურველს. საინტერესოა იგივე იდეა თუ მოქმედებსპროსოციულურობის პრინციპზეც, ანუ ადამინები სხვასაც აარიდებენ ცუდს და მისცემენ კარგს? ნამცხვარს იმ ადამიანს უფრო ადვილად მისცემთ ვისზეც ზრუნავთ თუ უცხოს? ამ კვლევის ფარგლებში სწორედ ეს საკითხია შესწავლილიმზრუნველობის გამომხატველი ემოციებიდან გამოწვეული პროსოციალური ქცევის ტენდენციების გაზომვით.

წინა კვლევებმა, რომელიც იყენებდა პასუხების დროის გაზომვის ტექნიკას(speeded response time tasks)აჩვენა, რომ მიახლოებისა და განრიდების

მოტივაცია შეიცავს ქცევით ტენდენციას რომ გაზარდოს მანძილი ადამიანსა და არასასურველ ობიექტს შორის ან შეამციროს მანძილი ადამიანსა და სასურველ ობიექტს შორის. ხოლო სხვადასხვა ემოცია ადამიანს სხვადასხვანაირი ქცევითი ტენდენციისკენ უბიძგებს. ამ კვლევის მიზანი კი იყო გაგვეგომზრუნველობითი ემოციებიდან გამოწვეულიპროსოციალური ქცევის ტენდენციებითუ აისახება პასუხების დროის გაზომვის ტექნიკით.

ცდისპირებს ეძლეოდათ 5 სხავდასხვა სამიზნე პირობა: სელფი,მოწყვლადი სხვა, ახლობელი სხვა, უცნობი, ცარიელი ყუთი. მათ კომპიუტერის ეკრანზე უნდა ემოძრავებინათ ნეგატიური და პოზიტიური სიტყვები ამ სამიზნეების მიმართ. კვლევის ჰოპოთეზით, ცდის პირები უფრო სწრაფად მიაახლოვებდნენ პოზიტიურ სიტყვებს და განარიდებნდენ ნეგატიურ სიტყვებს სამიზნე სელფისგან, გაჭირვებული სხვისგან და ახლობელი სხვისგან ვიდრე უცნობისა და ცარიელი ყუთის შემთხვევაში.

მოხსენების ფარგლებში უფრო ვრცლად ვისაუბრებთ კვლევის პროცედურაზე, ასევე მიმოვიხილავთ არსებულ კვლევებსა და იმ თეორიულ საფუძვლებს რამაც უბიძგა მოცემული კვლევის ჩატარებას.

2. **რა განსაზღვრავს ჰომოფობიის დონეს საქართველოში**

მომხსენებელი მაია მესტვირიშვილი - ფსიქოლოგი, ასოცირებული პროფესორი, თსუ. საკონტაქტო ინფორმაცია: mmestvirishvili@gmail.com

თითოეული პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება შემაჯამებელი დისკუსია.

დრო: 21 მაისი, 20:00 საათი

ადგილი: თსუ III კორპუსი, III სართული, 304 აუდიტორია

ხელმძღვანელი: მაია მესტვირიშვილი